შესყიდვის ხელშეკრულება #30

27 ნოემბერი 2013 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, სსიპ ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის ;არო სკოლის დირექტორ ლელა ქობულაძეს (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ოფის–1 „ რექტორ გიორგი მაღრაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი“)შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნაჭრის საოფისე სკამი: Ns-ISO BL-C11,შავი - 10 ცალი და

TQ-C-613FB(BLK), შავი –10 ც.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 600 ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მომსახურების მიწოდების ვადაა 2013 წლის 10 დეკემბრამდე

3.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

3.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

3.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია :

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

- მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს;
- წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი;

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება;
- რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას მიმწოდებლის ხარჯზე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები;

4.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.6. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01 %–ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1.ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით .ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ერთი თვით ადრე მაინც.

6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დამრღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან;

8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შადგენენ.

8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი

მხარეთა რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
შპს „ოფის–1	სსიპ ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ.კუმისის საჯარო სკოლა
ს/კ 204964039	ს/კ 226526293
ბ/კ MIBGGE22	ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE57PC0183600100028131	ა/ა GE55LB0121112707759000
დირექტორი: გიორგი მაღრაძე	დირექტორი: ლელა ქობულაძე
ხელმოწერა:	ხელმოწერა: